საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №38

2016 წლის 26 დეკემბერი

ქ. თბილისი

## „ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5, 42-ე და 43-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

**მუხლი 1**

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში (სსმ III, 2008 წლის 8 დეკემბერი, N 175 მუხ.1791, სარეგისტრაციო კოდი 300.280.000.16.009.012.460) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სს „თელასის" მიერ გამანაწილებელი ქსელით ელექტროენერგიის გატარების ტარიფები:

ა) 220/380 ვოლტი - 5.686 თეთრი/კვტსთ;

ბ) 3,3-6-10 კილოვოლტი - 1.927 თეთრი/კვტსთ;

გ) 35-110 კილოვოლტი - 1.270 თეთრი/კვტსთ;."

2. დადგენილების მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 8. სს „თელასის" ელექტროენერგიის განაწილების ტარიფები**

ა) 220/380 ვოლტი - 5.686 თეთრი/კვტსთ;

ბ) 3,3-6-10 კილოვოლტი - 1.927 თეთრი/კვტსთ;

გ) 35-110 კილოვოლტი - 1.270 თეთრი/კვტსთ;."

3. დადგენილების მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 10. სს „თელასის" მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები**

1. სს „თელასის" მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები ძაბვების მიხედვით:

ა) 220/380 ვოლტი (არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი) - 16.740 თეთრი/კვტსთ;

ბ) 3,3-6-10 კილოვოლტი - 12.981 თეთრი/კვტსთ;

გ) 35-110 კილოვოლტი - 12.324 თეთრი/კვტსთ;“.

2. მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის და ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, სს „თელასის“ აბონენტებისათვის, საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის (მოსახლეობისათვის) 220/380 ვოლტ ძაბვაზე მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები (30 კალენდარულ დღეში):

ა) 101 კვტსთ-ის ჩათვლით - 11.000 თეთრი/კვტსთ;

ბ) 101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით - 14.400 თეთრი/კვტსთ;

გ) 301 კვტსთ-დან და მეტი - 18.200 თეთრი/კვტსთ.“.

**მუხლი 2**
დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე - ირინა მილორავა

კომისიის წევრი - გოჩა შონია

კომისიის წევრი - გიორგი ფანგანი